*პროექტი*

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---მარტი 2019 წელი

**ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ვასილ ბარნოვის II ჩიხისთვის და ერეკლე ტატიშვილის I ჩიხისთვის მსახიობ გივი ბერიკაშვილის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ**

1. საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) მთაწმინდის რაიონში, ვასილ ბარნოვის II ჩიხს და ერეკლე ტატიშვილის I ჩიხს (ვასილ ბარნოვის II ჩიხი და ერეკლე ტატიშვილის I ჩიხი ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ ქუჩად) მიენიჭოს მსახიობ გივი ბერიკაშვილი სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

X=482084 Y=4617257
ზივი ზერიკაშვილის ქ.
X=482072 Y=4617160

## გივი ბერიკაშვილი

**(1933_2017)**

**საქართველოს სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი**

დაიბადა 1933 წელს გურჯაანის რიონის ს. კოლაგში. 1956 წელს დაამთავრა საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა რუსთავის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, სოხუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში და ბოლოს კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში. იყო საქართველოს დამსახურებული არტისტი, 1979 წელს მიენიჭა საქართველოს სახალხო არტისტის წოდება, ასევე იყო კოტე მარჯანიშვილისა და იპოლიტე ხვიჩიას სახელობის პრემიების ლაურეატი. 2010 წელს მიანიჭეს თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება.

გადაღებულია 45 მხატვრულ ფილმში, ნათამაშები აქვს ათეულობით როლი თეატრში. 2008 წელს მარჯანიშვილის თეატრის წინ გაიხსნა მისი ვარსკვლავი.

გარდაიცვალა 2017 წლის 10 აპრილს, 83 წლის ასაკში. დაკრძალულია საბურთალოს სასაფლაოზე მდებარე ამაღლების ეკლესიის ეზოში.

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

წერილის ნომერი: 03-031902984
თარიღი: 29/01/2019
პინი: 8857

**ადრესატი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
**მისამართი:** შარტავას ქ. 7ა

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსს
ბატონ ალექსანდრე ტოგონიძეს

გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი მთაწმინდის რაიონში, ბარნოვის II ჩიხის დამოუკიდებელ ქუჩად სახელდებასთან დაკავშირებით (რადგან გეოგრაფიულ ობიექტს აღარ აქვს გეგმარებითი კავშირი ძირითად, ბარნოვის ქუჩასთან).
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ინტერაქტიული რუკის მეშვეობით შესწავლილი იქნა უსახელო გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობა და მის მიმდებარედ სახელდებული ქუჩები.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ქუჩის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი (ერთი) ფურცელი.

თინათინ ნიბლოშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

# ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **67-01190433918**
თარიღი: **12/02/2019**
პინი: **4938**

**ადრესატი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**მისამართი:** თავისუფლების მოედანი N2

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

**სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარეს**

**ქ-ნ თინათინ ნიბლოშვილს**

**მის: თავისუფლების #2**

**ტელ:+995(32)2 15 92 92**

**ქალბატონო თინათინ,**

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 29.01.2019 წლის #03-031902984 (29.01.2019წ. #14-01190292822-67) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული ჩიხების, შესახვევებისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

ალექსანდრე ტოგონიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი